აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის განსაზღვრისა და უმაღლესი საბჭოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის განსაზღვრისა და უმაღლესი საბჭოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 28 ნოემბრის №4 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, (www. matsne.gov.ge), 09.12.2016) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის „ა-ვ" ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისია - 7 წევრი;
ბ) ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომისია - 7 წევრი;
გ) განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისია - 7 წევრი;
დ) საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია - 7 წევრი;
ე) საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომისია - 7 წევრი;
ვ) ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია - 7 წევრი.".

2. მე-2 მუხლის ცხრილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

№	კომისიის დასახელება	ფრაქცია „ქართული ოცნება"	ფრაქცია „ქართული ოცნება - მაჟორიტარები"	ფრაქცია „ქართული ოცნება - აჭარა"	ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"	უმაღლესი საბჭოს წევრი, რომელიც არ არის გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში
1	აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა	2	2	1	1	1

2	ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა	2	2	1	1	1
3	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა	2	2	1	1	1
4	საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა	2	2	1	1	1
5	საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა	2	2	1	1	1
6	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა	2	2	1	1	1

მუხლი 2. ეს დადგენილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ჩაქვი,
2017 წლის 18 მაისი
№40-უ.ს.გ.ს.